# მუსლიმი, როცა საფლავში დაიკითხება: ის ამოწმებს, რომ არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა და მუჰამმადი ალლაჰის მოციქულია

ალ-ბარაა იბნ 'ააზიბის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემით, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მუსლიმი, როცა საფლავში დაიკითხება: ის ამოწმებს, რომ არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა და მუჰამმადი ალლაჰის მოციქულია», ამაზე ალლაჰმა თქვა: {განამტკიცებს ალლაჰი იმათ, ვინც ირწმუნა, მტკიცე სიტყვით ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც} [ იბრააჰიმ: 27]

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მორწმუნეს ჰკითხავენ საფლავში, სადაც მას ეკითხებიან ორი ანგელოზი, რომლებიც ამ მოვალეობისთვის არიან შექმნილნი, და ისინი არიან მუნქარ და ნაქირ, როგორც ეს რამდენიმე ჰადისშია დასახელებული, ის დაამოწმებს, რომ არ არსებობს სხვა ღვთაება ღირსეული სათაყვანებელი, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამმადი მისი მოციქულია. ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: ეს არის მტკიცე სიტყვა, რომელზეც თქვა ალლაჰმა თავის წიგნში: {განამტკიცებს ალლაჰი იმათ, ვინც ირწმუნა, მტკიცე სიტყვით ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც} [ იბრაჰიმ: 27]

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/4206